

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური სტრატეგია
აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში

ნინო მაჭავარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნოდია,
სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის გააზრება აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში ძალთა ბალანსის თეორიის გადამოწმების საფუძველზე. ნაშრომის საკვლევი კითხვებია, თუ რამდენად ემსახურება აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკა აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაბალანსებას? რა ფაქტორებზე/ქმედებებზე დაყრდნობით ახორციელებს აშშ აღნიშნულ საგარეო პოლიტიკას და რა წინაღობებს შესაძლოა აწყდებოდეს ამ კუთხით? აღნიშნული კითხვების გასაანალიზებლად კი ნაშრომი ეყრდნობა თვისობრივ კვლევას, შემთხვევის შესწავლის მეთოდს. კერძოდ, ტაივანისა და ფილიპინების მაგალითების განხილვით გააზრებულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია აღნიშნულ რეგიონში. ასევე, ობამას სტრატეგიის თანმიმდევრულად განხილვისთვის, ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდის ერთ-ერთი სახე, პროცესის მიყოლის ანალიზი.

სამაგისტრო ნაშრომი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ამერიკა (ობამას ადმინისტრაცია) ცდილობს დააბალანსოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მის გარშემო არსებულ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებით, განსაკუთრებით, თავდაცვით სფეროში. თუმცა, ამის პარალელურად აშშ-ის პრეზიდენტი აწარმოებს ე.წ. ორმაგ სტრატეგიულ პოლიტიკას. კერძოდ, ჩინეთის დაბალანსებასთან ერთად აშშ ცდილობს, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ საფრთხე არ შეუქმნას და ზიანი არ მიაყენოს ჩინეთ-ამერიკის ეკონომიკურ თანამშრომლობას. ამ ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო თანამშრომლობა ხელს უწყობს ჩინეთის მშვიდობიან განვითარებას, რაც პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული მთლიანად აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებასთან.

ასევე, წინამდებარე კვლევით დგინდება, რომ აშშ-ისთვის დასაყრდენი ძალა აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში უფრო ფილიპინების სახელმწიფოა, ვიდრე ტაივანის.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩინეთის ბაზარზე, მათ განსხვავებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები აქვთ, რის მიხედვითაც ფილიპინების რესპუბლიკა უფრო აშშ-ისკენ იხრება, ხოლო ტაივანი (ჩინეთის რესპუბლიკა) - ჩინეთის მხარეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ისთვის მთავარ საგარეო პოლიტიკურ გამოწვევად რჩება ჩინეთის დაბალანსება და მისი მშვიდობიანი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის, ასევე გლობალური მასშტაბით მშვიდობისა და ძალთა ბალანსის შენარჩუნებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აშშ, აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, დაბალანსება, ალიანსები, სამხედრო თანამშრომლობა.

Abstract

Subject of the research represents the understanding of the United States foreign policy strategy in the Asia-Pacific region through verification based on the theory of balance of power. The thesis questions whether foreign policy of the US President Barack Obama's administration is focused to balance People's Republic of China in the Asia-Pacific region? What are the factors/activities the US policy is being implemented and what are the resisting circumstances in this regard? In order to analyze these questions, the thesis is based on qualitative research, case study method. In particular, the US foreign policy strategy in the region is analyzed by considering examples of Taiwan and Philippines. In order to discuss Obama's successive strategy the paper uses one of the types of qualitative method – process tracing approach.

Master's thesis is based on assumption that the United States (the Obama administration) is trying to balance the People's Republic of China through cooperation with its neighboring countries, especially in the field of defense. However, in parallel to that, the US conducts double

strategic policy. In particular, while balancing China, the US is trying not to damage the US-China economic relations. The trade cooperation between the two countries contributes to China's peaceful development that is directly related to the stability of Asia - Pacific region.

The present research also shows that the US sees Philippines as retaining power in the region rather than Taiwan. Despite the fact that both countries' economy largely depends on the Chinese market, they have a different foreign policy priorities. The Philippines is inclined to the US, while Taiwan to China.

According to that, balancing and peaceful development of China represents the major foreign policy challenge for the US that will lead to maintain peace and balance of power in the region and in the entire world.

Key Words: The US, Asia - Pacific Region, People's Republic of China, Balancing, Alliances, Military Cooperation.